საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ია გაბედავა - კოლეგიის წევრი

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ------ მოსამართლე ლ. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 29.01.2020

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 015/20

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. ღ.-ს მიმართ /სიითი N1959/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ღ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I **აღწერილობითი ნაწილი**

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2020 წლის 29 იანვარს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ მიიღო ------ მოსამართლე - ლ. მ.-ის საჩივარი.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი მ. ღ. არღვევს სასამართლო ქცევის წესებს მოსამართლის მიმართ უპატივცემულობის გამოხატვის გზით. კერძოდ, 2020 წლის 20 იანვარს, მისი თავმჯდომარეობით გამართულ სასამართლო სხდომაზე ადგილი ჰქონდა ბრალდებულ მამუკა კვარაცხელიას ადვოკატების, მ. ღ.-სა და ნინო თედეშვილის მხრიდან სასამართლოს უპატივცემულობას და არასათანადო ქცევას. მოსამართლე ლ. მ. მიუთითებს, რომ აღნიშნული

ადვოკატების მხრიდან მსგავს ქმედებებს ადგილი აქვს თითქმის ყველა სასამართლო სხდომაზე, თუმცა განცხადების წარმოდგენის დროს მოსამართლემ წარმოადგინა 2020 წლის 20 იანვრის სასამართლო სხდომის ოქმი და მიუთითა სხდომის ოქმის კონკრეტულ ეპიზოდებზე - 11:17:33, 11:56:19, 11:59:56 საათებზე.

1.3 მოსამართლე ლ. მ.-ის განმარტებით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში მომართვის მიზანია ყურადღება მიექცეს ადვოკატ მ. ღ.-ს სასამართლო სხდომის დარბაზში გამოვლენილ ქცევას და მოითხოვს ადვოკატთა ეთიკური და პროფესიონალური სტანდარტების ამაღლების მიზნით მის მიმართ შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.

2. ადვოკატთა პოზიცია:

2.1 2020 წლის 10 თებერვალს ადვოკატმა მ. ღ.-მ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი განმარტება. ადვოკატის განმარტებით უსაფუძვლოა ----- მოსამართლის ლ. მ.-ის პრეტენზიები მის მიმართ.

2.2 ადვოკატის განმარტებით, 2020 წლის 20 იანვარს სისხლის სამართლის საქმეზე გამართულ სასამართლო პროცესზე დაცვის მხარის ადვოკატების მხრიდან არ ჰქონდა ეთიკის ნორმების დარღვევას ადგილი. პირიქით, თავად მოსამართლე იქცეოდა სამოსამართლეო ქცევის ბანგალორის პრინციპებისა და სამოსამართლო ეთიკის ნორმების შეუსაბამოდ, რაც გამოწვეული იყო ადვოკატების მ. ღ.-ს და ნინო თედეშვილის მიმართ მოსამართლე ლ. მ.-ის პიროვნული დაპირისპირებით, რის გამოც ადვოკატებმა მოსამართლის მიმართ დააყენეს აცილების შუამდგომლობა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, 2020 წლის 20 იანვარს გამართულ სასამართლო სხდომაზე შედგენილი სხდომის ოქმის მოსამართლის მიერ მითითებულ ეპიზოდში (11:27:33), ადვოკატი მ. ღ. საუბრობს იმ დარღვევებზე, რომელსაც მოსამართლე ყოველ სხდომაზე სჩადის. ადვოკატი მოსამართლეს ეუბნება, რომ მათ შორის არის პიროვნული დაპირისპირება, უთითებს იმ განაჩენებზე, რომელიც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა და ამბობს, რომ დაცვის მხარეს მოსამართლის მიმართ არ გააჩნია ნდობა, რადგან გარდა იმისა, რომ მოსამართლე პირველივე სხდომიდან არის მიკერძოებული, მოსამართლე ლ. მ.-ის მიერ მიღებული განაჩენები პრაქტიკაში ძალიან ხშირად უქმდება. ამის დასტურია ბესიკ ჯალანიძის მიმართ გამოტანილი განაჩენი, რომელშიც ლ. მ.მ იგი ყაჩაღობაში გაამტყუნა, ხოლო საქართველოს უზენაესმა სასამართლომ აღნიშნული ქურდობის მცდელობად გადააკვალიფიცირა. ადვოკატის განცხადებით, მისთვის შემაშფოთებელია იმ მოსამართლის ნდობა, რომელიც ქურდობის მცდელობაში დამნაშავე პირს ყაჩაღობისთვის ასამართლებს და 5 წლით თავისუფლების აღკვეთას უსჯის.

2.4 ადვოკატი მ. ღ. დამატებით განმარტებებს აკეთებს, ამავე სასამართლო სხდომის სხვა ეპიზოდებზე. კერძოდ მიუთითებს, რომ 2020 წლის 20 იანვარს გამართულ სასამართლო სხდომაზე, 11:42:20 საათზე ადვოკატების მხრიდან დაყენებული აცილების განცხადების შემდეგ მოსამართლე ლ. მ.მ წარმოთქვა, რომ სამართალწარმოების პროცესში მოსამართლე არის

შეუცვლელი ფიგურა, რომ შეიძლება შეიცვალოს პროკურორი ან/და ადვოკატი, მაგრამ არა მოსამართლე და მოუწოდა ადვოკატებს, რომ თავი აიცილონ მის საქმეებზე. აღნიშნული განცხადება კი ნათლად მიუთითებს მოსამართლე ლ. მ.-ის პიროვნულ დაპირისპირებაზე ადვოკატების მიმართ. ამასთანავე, მოსამართლე ლ. მ. შეურაცხყოფას აყენებს არამარტო საქმის განხილვის პროცესში მონაწილე ადვოკატებს, არამედ მთლიანად ადვოკატთა კორპუსს, რომლის დასტურია სასამართლო სხდომაზე 11:44:26 წუთზე გაჟღერებული ფრაზა: „სამწუხაროა, რომ ზოგადად პროცესებზე გამოდიან ადვოკატები, რომელთა თვალთახედვა 25-ე მუხლს ვერ ცდება“.

2.5 ადვოკატის განმარტებით, სხდომის ოქმის 11:50:20-11:51:00 საათებში მოსამართლეს მიუთითა, რომ მას აქვს იმედი, რომ ცოტა ხანში არ იქნება მოსამართლე, რაშიც იგულისხმა, რომ საქმიდან უნდა აცილებულიყო. აღნიშნულზე მოსამართლე ლ. მ.მ მიუთითა, რომ ბედნიერი იქნება თუ სასამართლო ხელისუფლება მოსამართლეობიდან გაუშვებდა მას მსგავსი ადვოკატების გამო. 11:50:57 – 11:50:58 საათებში მოსამართლე ლ. მ. შეეხო საკუთარ სამოსამართლეო სტაჟს, რის გამოც ადვოკატმა მ. ღ.-მ ჰკითხა თუ რა გახდა მისი მოსამართლის თანამდებობიდან გაშვების საფუძველი. სხდომის ოქმის 11:52:10 – 11:53:05 საათებში მოსამართლე ლ. მ.მ ადვოკატ მ. ღ.-ს არ მისცა განცხადების გაკეთების საშუალება, რის გამოც ადვოკატმა განმარტა, რომ არ მისცემდა მოსამართლეს შეზღუდვის შესაძლებლობას, რადგან ლ. მ. ზღუდავს ყველას. აღნიშნული განმარტების მიზანი დაცვის უფლების შეზღუდვაზე მითითება იყო, რადგან ადვოკატი მიიჩნევს, რომ საკუთარი დაცვის ქვეშ მყოფი პირის უფლებების დასაცავად სწორ ნაბიჯებს დგამდა. 11:53:08 – 11:54:23 საათებში ადვოკატმა მ. ღ.-მ მოსამართლეს მიუთითა მისი საადვოკატო საქმიანობის პერიოდზე, როდესაც ლ. მ.მ კონკრეტულ საქმეზე მტკიცებულებები წინასასამართლო სხდომის გამართვამდე 5 დღით ადრე გადასცა პროკურორს, მაგრამ არ წარადგინა სასამართლოში. აღნიშნული მითითება ადვოკატის მხრიდან განხორციელდა, რადგან მოსამართლის კომპეტენცია ამდენი სხვადასხვაგვარი დარღვევის გამო სადავო იყო. 11:54:26 – 11:54:52 საათებში მოსამართლემ მხოლოდ ადვოკატების მითითებების შემდეგ განმარტა გასაჩივრების უფლებაზე და აღნიშნა, რომ განკარგულების ჩაბარების შემდეგ შეძლებდნენ გასაჩივრების წესის ნახვას, რადგან შესაძლოა სხდომაზე ვერ დაემახსოვრებინათ. 11:56:05 – 11:58:00 საათებში ადვოკატმა მ. ღ.-მ მოსამართლის მიკერძოებულობაზე ხაზგასასმელად მოსამართლეს უთხრა, რომ მიუხედავად იმისა, რომ პროკურორს სასამართლო სხდომაზე მოწმის მიყვანა დაავიწყდა, ლ. მ.ს ამ ფაქტზე რეაგირება არ მოუხდენია. ადვოკატმა ასევე მიმართა მოსამართლეს - ბოლომდე იბრძოლებს, რომ საქმის განხილველი მოსამართლე ლ. მ. აღარ იყოს, რადგან ის ამ საქმეში არის პროკურორი“. 11:58:16 – 11:58:52 საათებში მოსამართლემ კვლავ დააჯარიმა ადვოკატი მ. ღ., რაზედაც ადვოკატმა განმარტა, რომ დაპატიმრების შემთხვევაშიც იბრძოლებს ბოლომდე. 11:59:56 – 12:01:21 საათებში ადვოკატმა მ. ღ.-მ მიუთითა, რომ მოსამართლეს დაცვის მხარის პოზიცია არ სჭირდება, რადგან სასამართლო არის მიკერძოებული. ასევე, მიუთითა, რომ მოსამართლეს ამის შესაძლებლობას კანონი რომ აძლევდეს, ყველაზე მკაცრ სასჯელსაც კი გამოიყენებდა, მათ შორის ჩამოხრჩობას და სიკვდილით დასჯასაც კი. ეს ფრაზები გამომდინარეობდა მოსამართლის ქცევიდან, ვინაიდან ის ყოველ სხდომაზე უხეშად არღვევდა დაცვის უფლებას და ადვოკატებს არ აძლევდა კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებით სარგებლობას.

2.6 ადვოკატი მ. ღ. მიუთითებს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებების მსგავსი ფაქტები ხშირად ხდება სხვადასხვა პროცესზე. ადვოკატები კი იბრძვიან იმისთვის, რომ დაიცვან დაცვის ქვეშ მყოფი პირების უფლებები, რათა მათ არ შეეზღუდოთ სამართლიანი სასამართლოს უფლება. ადვოკატის განმარტებით, მოსამართლე ლ. მ. ყველა პროცესზე არღვევს კანონს და ადვოკატს პიროვნულ თუ პროფესიულ შეურაცხყოფას აყენებს. ადვოკატი მ. ღ. მიიჩნევს, რომ მისი ქცევა მოსამართლის მიმართ იყო ეთიკური და საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი მ. ღ. არის „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი /სიითი №1959/ სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 ------- მოსამართლის - ლ. მ.-ის საჩივარი ეთიკის კომისიამ მიიღო 2020 წლის 29 იანვარს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2020 წლის 20 იანვარს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. ღ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30.1 მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 მოსამართლე ლ. მ.-ის პრეტენზიით, სასამართლო სხდომაზე, საქმის განხილვის პროცესში ადვოკატმა მ. ღ.-მ არასათანადო ქცევით სასამართლოს მიმართ გამოიჩინა უპატივცემულობა.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ მ. ღ.-ს მხრიდან შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> „ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს 5(გ) მუხლი).
>
> „ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამრთლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 9.1 მუხლი).

5.3 ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. ადვოკატის მოქმედებები ორიენტირებული უნდა იყოს კლიენტის ინტერესების დაცვაზე და მან უნდა უზრუნველყოფს კანონით გათვალისწინებული საშუალებებით, სხვათა უფლებების შეზღუდვის გარეშე განახორციელოს კლიენტისთვის სასურველი მოქმედებები. შესაბამისად, ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებას და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას.

5.4 მართლმსაჯულების განხორციელებაში ადვოკატების, როგორც დამოუკიდებელი პროფესიონალების როლი მოიცავს მთელ რიგ მოვალეობებს, განსაკუთრებით მათი ქცევის მხრივ (*Veraart v. the Netherlands*, no. 10807/04, 30 November 2006; *Coutant v. France* (dec) o. 17155/03, 24.01.2008). დამცველების პროფესიული ქცევა ექვემდებარება გარკვეულ შეზღუდვებს - მათ მოეთხოვებათ თავდაჭერილი, პატიოსანი და ღირსეული ქცევა, თუმცა სარგებლობენ ექსკლუზიური უფლებებითა და პრივილეგიებით, რაც შეიძლება განსხვავდებოდეს იურისდიქციების მიხედვით, მათ შორის, დამცველებს ეძლევათ გარკვეული დისკრეციული უფლებამოსილება სასამართლოში გამოყენებული არგუმენტების თვალსაზრისით (*Casado Coca v Spain,* no.15450/89, 24/02/1994; *Steur v. the Netherlands*, no. 39657/98, 28.10.2003).

5.5 „სასამართლო სხდომათა დარბაზში ქცევის დროს, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლებამ შეიძლება წამოჭრას მისი კლიენტის სამართლიანი განხილვის უფლების საკითხი. სამართლიანობის პრინციპი ასევე მოქმედებს მხარეთა შორის დაუბრკოლებელი და დაძაბული შეპაექრების სასარგებლოდ. ადვოკატებს გააჩნიათ „საკუთარი კლიენტების ინტერესების გულმოდგინედ დაცვის“ ვალდებულება, რაც ნიშნავს, რომ ზოგჯერ მათ უნდა გადაწყვიტონ, გააპროტესტონ ან გაასაჩივრონ თუ არა სასამართლოს მოქმედება“ (*Morice v. France,* no. 29369/10, §136, 23/04/2015).

5.6 ადვოკატის დაცვის გარანტიები აღიარებულია „ადვოკატთა შესახებ“ კანონის 38-ე მუხლის მე-4 პუნქტით, რომლის მიხედვით „ადვოკატს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ განცხადებისათვის, რომელიც მან ზეპირად ან წერილობით წარუდგინა სასამართლოს ან ადმინისტრაციულ ორგანოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე“. თუმცა აღნიშნული ნორმა არ არის შეუზღუდავი და ის შეიძლება შეიზღუდოს, როდესაც ადვოკატი შეურაცხყოფას აყენებს სასამართლო ხელისუფლებას. მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევით უნდა დადგინდეს ადვოკატი მ. ღ. კლიენტის ინტერესების დაცვის პროცესში ხომ არ გასცდა ეთიკურად ქცევის ფარგლებს მოსამართლესთან ურთიერთობისას.

5.7 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში მოსამართლე ლ. მ.-ის მომართვაში დაფიქსირებული პრეტენზია ეხება 2020 წლის 20 იანვარს, -------- სისხლის სამართლის საქმეზე გამართულ სხდომას, რა დროსაც ადვოკატი მ. ღ. იცავდა ბრალდებულ მამუკა კვარაცხელიას ინტერესებს. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში მოსამართლემ წარმოადგინა საერთო მიმართვა ადვოკატების ნინო თედეშვილის და მ. ღ.-ს მიმართ. მოსამართლე მიუთითებს კონკრეტულ ეპიზოდებზე, რა დროსაც, მისი განმარტებით ადვოკატის მოქმედებები ეწინააღმდეგებოდა ადვოკატის პროფესიულ მოთხოვნებს, ესენია: 11:17:33, 11:56:19, 11:59:56

საათები. მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლე მიუთითებს კონკრეტულ საათებზე, მის მომართვაში არ არის დაფიქსირებული ადვოკატების მხრიდან წარმოთქმული კონკრეტული ფრაზა ან ქცევა, რაც მიუღებელი იყო მისთვის და რამაც განაპირობა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისთვის მომართვა.

5.8 საპროცესო კოლეგია გაეცნო საქმეში წარმოდგენილ სხდომის ოქმს და მოსამართლის მიერ მითითებულ კონკრეტულ ეპიზოდებს. სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას, 11:17:33 საათიდან საუბრობს ადვოკატი მ. ღ., რომელიც განმარტავს მოსამართლის აცილების შუამდგომლობის საკითხს, ადვოკატის განმარტება საკმაოდ ვრცელია, თუმცა კოლეგიამ გამოყო რამდენიმე ფრაზა, რაშიც შესაძლოა მოსამართლე ხედავდეს უპიტივცემულობის ნიშნებს (საჩივარში არ არის მითითებული კონკრეტული ფრაზები). ესენია: „თქვენი, ამ შემთხვევაში სასამართლოს პოზიცია მიმართული იყო იქითკენ, რომ პიროვნული დაპირისპირება ყოფილიყო ადამიანებს შორის";.. „თქვენ პირდაპირ დაკავშირებული ხართ ჩვენთან, ჩვენს ყველა მოქმედებებზე თქვენ რეაგირებთ, არასამართლებრივზეა აქ საუბარი. პირდაპირ როდესაც თქვენ მეუბნებით, რომ ეთიკის კომისიაში უნდა გიჩივლოთო ეს ჩვენი დაპირისპირებაა, სამართლებრივი. ახლა ჩვენ ქუჩაში არ ვხვდებით ერთმანეთს და ჯოხს არ ვურტყამთ ერთმანეთს. აქ არის სამართლებრივი დაპირისპირება. როდესაც მეუბნებით, რომ უნდა გიჩივლოთო, მე პირდაპირ გეუბნებით - სწორია, თქვენც გაქვთ ამის უფლება გვიჩივლეთ შესაბამის, ორგანოებში არამარტო ადვოკატთა ასოციაციაში ასევე პროკურატურაში და ასე შემდეგ. ეს არის სწორედ პიროვნული დაპირისპირება რომელიც ჩვენს შორის არის და წარმოშობილია";... „არ მაქვს ნდობა თქვენს მიმართ";... „ჩვენს შორის არის პიროვნული დაპირისპირება, გავიგოთ ეს ერთხელ და სამუდამოდ";... „გითხარით თქვენ, რომ ბრალდების მხარეს ხართ, ჩემი აზრია ეს";... „ჩვენ ვთვლით რომ ჩვენი დამოკიდებულება იმდენად დაძაბულია, ეს იმოქმედებს ამ ადამიანებზე". 11:56:05 საათიდან - 11:56:44 საათამდე ადვოკატი მ. ღ. მოსამართლეს მიმართავს: „რატომ უნდა გადავდოთ მოწმის არმოყვანის გამო? ესე რომ უჭერთ მხარს. მე გეუბნებით კიდევ არ მეშინია, მე თქვენი ჯარიმების არ მეშინია. მე დამაფიქსირებინეთ პოზიცია, მე თქვენ შემზღუდეთ იმაში, რომ ჩემი პოზიცია დამეფიქსირებინა, განცხადება მქონდა და მზღუდავთ. ესე რომ კარგად ესაუბრებით და ვითომ შენიშვნას რომ აძლევთ, ასე არ არის. გამოიკვლიეთ სხვა მტკიცებულებები, მე რომ ვიყო ერთ საათს არ მაპატიებდით, იმიტომ რომ თქვენ დაინტერესებული ხართ, თქვენ ხართ ადამიანი, რომელიც ყველაფერში დაცვის მხარის წინააღმდეგ ხართ. აბსულუტურად ნებისმიერ რაღაცაზე"; 11:59:56 საათზე, მას შემდეგ რაც მოსამართლე ლ. მ. მ მიმართა დაცვის მხარეს პოზიციის დასაფიქსირებლად, ადვოკატი მ. ღ. საუბრობს: „დაცვის პოზიცია თქვენ რაში გჭირდებათ, ისედაც ვიცი რა გადაწყვეტილებას მიიღებთ, იმიტომ რომ თქვენ არ გაგაჩნიათ იმის მორალური უფლება რომ აღკვეთის ღონისძიება შეუცვალოთ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს, ამაში დარწმუნებული ვარ. არანაირ საფუძვლებს თქვენ არ გადაამოწმებთ. თქვენ ბუნებრივია რომ ამ საქმის შედეგით ხართ დაინტერესებული, მაგრამ მე ამაყი ვარ იმით რომ ამ საქმეში გავიმარჯვებ ბოლომდე, მინიმუმ უზენაეს სასამართლოში. რადგან სხვაგან კი არ გაგიუქმებთ განაჩენებს, იქ იმიტომ რომ ვიღაცა მაინც შეხედავს რაღაც საკითხს და გაარკვევს როგორი უნდა იყოს სასამართლო გადაწყვეტილებების მიღების დროს. მე პირდაპირ გეტყვით, რომ რა თქმა უნდა აღკვეთის ღონისძიების განჩინებას არ შეცვლით, პირიქით რომ შეიძლებოდეს ჩამოხრჩობა იმასაც იზამთ,

პრობლემა არ არის, სიკვდილით დასჯაც რომ იყოს კანონში ბუნებრივია ამასაც გამოიყენებთ. მე კიდევ ერთხელ გეუბნებით რა ზომებიც არ უნდა მიიღოთ, მე როდესაც მიზღუდავთ თავისუფლებას, როდესაც მიზღუდავთ სიტყვის თავისუფლებას, როდესაც მე თქვენ არ მაძლევთ იმის საშუალებას, რომ კვარაცხელია დავიცვა კვალიფიციურად და მასთან მიმართებაში განვახორციელო მთელი რიგი სამართლებრივი პროცედურები, ამ დროს მე არანაირი მოლოდინი არ მაქვს. თქვენ ბევრი გიჩივით კი არა, მთელი საქართველო გიჩივით, მაგრამ მე ვარ ერთადერთი, რომელიც ამ საქმეში ბოლომდე იბრძოლებს იმისთვის, რომ ასეთი რამ არ განმეორდეს ქართული მართლმსაჯულების ისტორიაში. რაც შეეხება მის აღკვეთის ღონისძიებას, არანაირი საფუძველი, წინაზე თქვენ განმარტეთ, ისეთი რაღაც განმარტეთ, რომ აპელაციამ შეუცვალაო აღკვეთის ღონისძიება დაცვის მხარეს არაფერი არ წარმოუდგენია, იმდენი შეცვლილა ამ ოთახში, თქვენს მიერ არა რა თქმა უნდა, სხვების მიერ. იმდენი შეცვლილა აღკვეთის ღონისძიებები, თუნდაც არაფერი წარმოედგინა, მთავარია საფუძველი იყოს... ბრალდების მხარეს თითო მოწმე მოჰყავს, რომელსაც თქვენ არაფერს არ ეუბნებით და დღეს უთხარით და შენიშვნა მიეცით იმიტომ, რომ არ წარმოადგინეს. ეს ჩვენი დამსახურებით, თორემ თქვენ საერთოდ ხმას არ ამოიღებდით, არ დავისვენებ მანამდე, ასეთ უხერხულობაში უნდა იყოთ ყოველთვის თქვენ, თქვენ თვითონ უნდა მიიღოთ გადაწყვეტილება, რომ მე სადაც ვიქნები არ მიიღოთ თქვენ მონაწილეობა საქმის განხილვაში და ამას მალე მივაღწევ. აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვა ეს ფორმალური ხასიათის არის. უკვე გადაწყვეტილი გქონდათ, რომ არანაირი შეცვლის საფუძველი და ზოგადად მსჯელობის საფუძველი რომ ყოფილიყო, თუ რატომ უნდა იყვნენ ესენი პატიმრობაში“. 12:04:51 საათზე მოსამართლემ გაფრთხილება მისცა ადვოკატ მ. ღ.-ს.

5.9 კლიენტს ადვოკატის ნდობა უყალიბდება მისი პიროვნული და საქმიანი თვისებებიდან გამომდინარე, რის გამოც საკუთარი სურვილით ირჩევს ადვოკატს. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყების შემდეგ კლიენტის ნდობის გაღრმავებას განაპირობებს საქმიანობის პროცესში კლიენტის ინტერესების გათვალისწინება და ადვოკატის კეთილსინდისიერი დამოკიდებულება საქმის მიმართ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 3.9 მუხლის მიხედვით „ადვოკატი არის პირი, რომელიც კანონით დადგენილი წესით იცავს ბრალდებულის, მსჯავრდებულის, გამართლებულის ინტერესებს და უწევს მათ იურიდიულ დახმარებას“, ხოლო ამავე კოდექსის 44.1 მუხლის მე-2 წინადადების მიხედვით, „ადვოკატს არა აქვს უფლება, იმოქმედოს ბრალდებულის მითითებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ“. კლიენტის დაცვის მიზნით განხორციელებულ მოქმედებებს ეხება „ადვოკატთა შესახებ „საქართველოს კანონის 6.1 მუხლიც, რომლის მიხედვით „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით“. შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან განხორციელებული შეთანხების საფუძველზე და კლიენტის მითითებების შესრულების პროცესში იმოქმედოს ყველა კანონიერი საშუალებისა და ხერხის გამოყენებით.

5.10 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 07 ივნისის განჩინებით, საქმეზე N1ბ/სპ-18-18, განმარტებულია, რომ „ადვოკატის მოქმედებები შეზღუდულია ბრალდებულის მითითებებითა და მასთან დადებული ხელშეკრულებით. ადვოკატი ვალდებულია დამოკიდებული იყოს

დასაცავი პირის პოზიციაზე. იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებულს სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებთან, ასევე სასამართლო ხელისუფლებასთან, სათანადო ურთიერთობის განხორციელებისათვის საჭირო სამართლებრივი განათლება (სამართლებრივი ნორმის ცოდნა და სათანადოდ გაგება) ან პროფესიული გამოცდილება შესაძლოა არ გააჩნდეს, ადვოკატი მოვალეა კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ფარგლებში სათანადოდ შესთავაზოს მას მისი ნების შესაბამისი სტრატეგია დაცვის უფლების უკეთ განხორციელებისათვის. ადვოკატის მნიშვნელოვანი ფუნქციაა ბრალდებულის ინტერესები და შესაბამისი მოთხოვნები კანონიერ ფარგლებში მოაქციოს და ყველა ნორმის დაცვით წარმოადგინოს ისინი მოსამართლის წინაშე".

5.11 სასამართლო სხდომაზე ადვოკატ მ. ღ.-ს განმარტებები თანხვედრაში იყო კლიენტის ინტერესებთან, ვინაიდან ადვოკატი ბრალდებულის ინტერესების დასაცავად მიმართავდა სასამართლოს კონკრეტული მოთხოვნით, რომელიც არ ეწინააღმდეგებოდა კანონიერ ფარგლებს. სასამართლო სხდომაზე ადვოკატი მ. ღ. იყენებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მინიჭებულ უფლებას და მოსამართლე ლ. მ.-ის აცილების მიზნით საუბრობს კონკრეტულ გარემოებებს, რომლითაც მას სურს მოსამართლის ქცევაზე ხაზგასმა. ადვოკატი მიიჩნევს, რომ მოსამართლე მიკერძოებულია და ძირითად შემთხვევებში იზიარებს ბრალდების მხარის პოზიციას, აღნიშნული კი გამოწვეულია ადვოკატების მიმართ მოსამართლის დაპირისპირების არსებობით, რაც საბოლოო ჯამში აზიანებს ბრალდებულის ინტერესებს.

5.12 აცილების შუამდგომლობის დაყენება წარმოადგენს საპროცესო სამართლებრივ მოქმედებას და ამ უფლებით სარგებლობა შეუძლია პროცესის ყველა მონაწილეს, ვინაიდან მხარის ინტერესია დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების განხორციელება, რის გარეშეც შეუძლებელია მართლმსაჯულების სისტემის ნორმალური ფუნქციონირება. "მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა განხორციელდეს, არამედ უნდა ჩანდეს კიდეც რომ განხორციელდა". ამ დროს სასწორზე დევს ის ნდობა, რომელსაც სასამართლოები ნერგავენ დემოკრატიულ საზოგადოებაში (*Micallef v. Malta, no.* 17056/06, *Wettstein v. Switzerland*, no.33958/96). მაშინ როდესაც, პროცესის მონაწილე მხარე პრეტენზიას გამოთქვამს მოსამართლის მიკერძოებულობაზე, აუცილებელია შემოწმდეს არსებობს თუ არა ამის საფუძველი, შესაბამისად, უნდა გამოირიცხოს წინასწარგანწყობა ან ტენდენციურობის არსებობა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს უცვლელი პრაქტიკის მიხედვით „მიუკერძოებლობის არსებობა უნდა განისაზღვროს სუბიექტური ტესტის მიხედვით, სადაც ხდება კონკრეტული მოსამართლის პირადი მრწამსისა და ქცევის გათვალისწინება, ანუ, მოსამართემ გამოხატა თუ არა კონკრეტულ საქმეში პერსონალური წინასწარგანწყობა ან ტენდენციურობა; ამასთანავე, ობიექტური ტესტის მიხედვით ირკვევა, თუ რამდენად გვთავაზობდა სასამართლო და მისი შემადგენლობა საკმარის გარანტიებს რათა გამოგვერიცხა ნებისმიერი ლეგიტიმური ეჭვი მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით (იხ.*inter alia*, *Fey v. Austria*, 24 თებერვალი 1993, Series A no. 255, §§ 27, 28 da 30, და *Wettstein v. Switzerland*, no.33958/96, § 42, ECHR2000-XII).

5.13 მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი მ. ღ. საუბრობს მიუკერძოებლობის სუბიექტური ტესტით გათვალისწინებულ საკითხებზე, მას ეჭვი შეაქვს მოსამართლის დამოუკიდებლობაში და

მოითხოვს საქმის სამართლიან განხილვას. საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ გამოხატული ეჭვი მოსამართლის საქმიანობის მიმართ არ წარმოადგენს არაეთიკურ ქცევას, ვინაიდან არამარტო ადვოკატს ასევე პროცესის ნებისმიერ მონაწილეს უფლება აქვს ისარგებლოს პროცესუალური საშუალებებით და საქმის წარმოების სამართლიანი განხილვის მიზნებისთვის მოითხოვოს მოსამართლის აცილება. აცილების შუამდგომლობის დაყენების დროს ადვოკატს უფლება აქვს მიუთითოს შესაბამისი არგუმენტები, მოსამართლეს კი უფლება აქვს გაიზიაროს ან არ გაიზიაროს მისი პოზიცია, მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილებით უნდა გამოირიცხოს ნებისმიერი ლეგიტიმური ეჭვი მოსამართლის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, რაც განამტკიცებს საზოგადოების ნდობას მართლმსაჯულების მიმართ.

5.14 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატი მ. ღ. აფიქსირებს საკუთარ აზრს მოსამართლის აცილების მიზნებისთვის და მისი ქცევა თანხვედრაშია კლიენტის პოზიციასთან. მისი მითითება, რომ მოსამართლეს და ბრალდებულის ადვოკატებს შორის არსებობს პიროვნული დაპირისპირება, რომ ის არ ენდობა მოსამართლეს და რომ არსებობს ადვოკატის უფლებების შეზღუდვის, ხოლო ბრალდების მხარის სასარგებლოდ მხარდასაჭერი მოქმედებები, არ შეიძლება ჩაითვალოს არაეთიკურ მოქმედებად. მართალია, ადვოკატ მ. ღ.-ს მხრიდან სასამართლო სხდომაზე გაკეთებული არგუმენტები იყო კრიტიკული, მაგრამ კლიენტის დაცვის პროცესიდან გამომდინარე დასაშვები კრიტიკის ფარგლებში გამოთქმული. აღნიშნული კრიტიკა გამოწვეული იყო კლიენტის ინტერესების დასაცავად, ვინაიდან ადვოკატის მიზანს წარმოადგენდა მოსამართლის აცილება, რაც ადვოკატს დაცვის უფლების განხორციელებისას პრაქტიკულ და აუცილებელ საშუალებად მიაჩნდა. ამასთან, ადვოკატ მ. ღ.-ს მიზანი არ იყო მოსამართლისთვის შეურაცხყოფის მიყენება, ვინაიდან ადვოკატის განმარტებები არ იყო უხასმი ან/და აგრესიული ფორმით გადმოცემული.

5.15 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს ადვოკატ მ. ღ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი, ვინაიდან მის მიზანს არ წარმოადგენდა სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამოხატვა. ადვოკატის წარმოთქმული განმარტებები არ შეიცავდა შეურაცხმყოფელ ფრაზებს და მისი მოქმედებები თანხვედრაში იყო დაცვის უფლების განხორციელების უპირატეს უფლებასთან.

5.16 ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30.2 მუხლით, 31-ე მუხლით, 40,1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №015/20 არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ მ. ღ.-ს /სიითი №1959/ მიმართ.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/